



სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნინო საათაშვილი

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სამსახურებრივი
უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი
უფლებამოსილების გადამეტებისათვის

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტზე

სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მალხაზ ლომსაძე,

პროფესორი

2020

გორი

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ფუნდამენტურ კვლევასა და ანალიზს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამოხელეო დანაშაულების - სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა (332-ე მუხლი) და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების (333-ე მუხლი) შემადგენლობათა შესახებ. იგი მკითხველს წარმოადგენას შეუქმნის განსახილველ დანაშაულთა კვალიფიკაციასა და დამნაშავეისათვის სამართლიანი სასჯელის განსაზღვრასთან დაკავშირებით არსებულ ძირითად საკანონმდებლო და პრაქტიკულ პრობლემებზე, რომელთა აღმოფხვრა, ამ დანაშაულთა თანმდევი შედეგების გათვალისწინებით, მაღალი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესის საგანია.

ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა სამოხელეო დანაშაულის ამსრულებელთა წრეს. ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოხელესთან გათანაბრებული პირის ცნებას, საჭიროა აღნიშნული ბუნდოვანების აღმოფხვრა, კერძოდ, მოხელესთან გათანაბრებული პირის ცნების ან/და მისი მოხელესთან გამთანაბრებელი რაიმე ცენზის კანონით განსაზღვრა. ამასთანავე, საჭიროა საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის სამოხელეო დანაშაულის თავში განხორციელდეს ცვლილება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან მიმართებით და სამოხელეო დანაშაულის ამსრულებელთა შორის გათვალისწინებულ იქნეს ასევე: პოლიტიკური თანამდებობის პირი, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

ზემოაღნიშნული და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების დეტალური მიმოხილვით წინამდებარე ნაშრომი საფუძვლიან ცოდნას მისცემს განსახილველი თემით დაინტერესებულ ყველა პირს.

შინაარსი

შესავალი	6
თავი I. სამოხელეო დანაშაულის ზოგადი დახასიათება	9
თავი II. სამოხელეო დანაშაულის ისტორიულ ჭრილში მიმოხილვა	111
თავი III. სამოხელეო დანაშაულის ცნება	114
თავი IV. სამოხელეო დანაშაულის ამსრულებელთა წრე	116
4.1. მოხელე	17
4.2. მოხელესთან გათანაბრებული პირი	18
4.3. სახელმწიფო — პოლიტიკური თანამდებობის პირი	19
4.4. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დაზუსტებულ სამოხელეო დანაშაულის ამსრულებელთა წრე	221
თავი V. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის ქართული კანონმდებლობის მიხედვით	2Error! Bookmark not defined.
5.1. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ობიექტური შემადგებლობა	225
5.2. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სუბიექტური შემადგენლობა	29
თავი VI. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის 34 მიხედვით	334
6.1. სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ობიექტური შემადგენლობა	336
6.2. სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების სუბიექტური შემადგენლობა	35

თავი VII. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის..... 37

7.1. სახელმწიფო — 41

მიერ 39

7.2. არაერთგზის 40

7.3. ძალადობით ან იარაღის გამოყენებით..... 42

7.4. დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით..... 43

თავი VIII. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ურთიერთგამიჯვნის პრობლემები 44

დასკვნა 49

გამოყენებული ლიტერატურა53

შესავალი

თემის აქტუალობა. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს სამოხელეო დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა, რომლებიც უხეშად ხელყოფენ სახელმწიფო აპარატის ნორმალურ საქმიანობას, ზიანს აყენებენ ან უქმნიან საფრთხეს ცალკეულ პირთა უფლებებს, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებს.

მიჩნეულია, რომ „სამოხელეო დანაშაულის ობიექტია საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული კონსტიტუციური წყობილებისა და საჯარო სამართლის სფეროში წარმოშობილი საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო აპარატისა და მისი ცალკეული რგოლის სწორ ფუნქციონირებასთან.“¹

სამოხელეო დანაშაულებით გამოწვეული შედეგები მძიმეა. „ნებისმიერი სახელმწიფოებრივი აპარატის ორგანიზაციასა და საქმიანობას არსებითი ზიანი ადგება თანამდებობის პირთა მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისადმი დანაშაულებრივი და კორუმპირებული დამოკიდებულებით. ასეთი პირები აღჭურვილნი არიან რა დიდი უფლებამოსილებით და არც თუ იშვიათად განკარგავენ მნიშვნელოვან მატერიალურ ფასეულობებს, თავიანთი უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენებით, საზოგადოებას აყენებენ არა მხოლოდ დიდ მატერიალურ ზიანს, არამედ ხელყოფენ ზნეობრივ ნორმებსაც, ახდენენ სახელმწიფო აპარატის დისკრედიტაციას.“²

სამოხელეო-კორუფციული დანაშაულები საზოგადოებისა და მასმედიის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ, ვინაიდან აღნიშნულ დანაშაულებს ხშირად საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი მაღალი თანამდებობის პირები სჩადიან. ყველა სამოხელეო დანაშაული ბღალავს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა პრესტიჟსა და ავტორიტეტს.

¹სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (II) კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, მეოთხე გამოცემა, თბილისი, გამომც. მერიდიანი. 2012 წ. გვ. 184.

²ლონტიგ. კორუფცია, სახელმძღვანელო, თბილისი, 2009წ. გვ. 155-156.

სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს, რომ განსახილველი სამოხელეო დანაშაულების - სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შემადგენლობათა ძირითადი ნაწილის მსგავსების გამო, დამნაშავეს მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციისას წარმოიშობა აღნიშნული დანაშაულების ერთმანეთისგან გამიჯვნის პრობლემა, რაც დიდ პრაქტიკულ სირთულეს წარმოადგენს ამსრულებლის ქმედების დასაბუთებული სამართლებრივი შეფასებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. ამდენად, მნიშვნელოვანია განსახილველ დანაშაულთა ამსახველი ნორმების სწორად განმარტება და გამოყენება.

ნაშრომის მიზანი. წინამდებარე ნაშრომის მიზანია მკაფიო და სრული ინფორმაცია მიაწოდოს მკითხველს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა (332-ე მუხ.) და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების (333-ე მუხ.) შემადგენლობათა შესახებ, წარმოაჩინოს აღნიშნულ დანაშაულთა კვალიფიკაციასა და დამნაშავესათვის სამართლიანი სასჯელის განსაზღვრასთან დაკავშირებული ძირითადი საკანონმდებლო და პრაქტიკული პრობლემები და გამოკვეთოს ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად მათი გადაჭრის შესაძლო გზები.

ნაშრომში დასმული საკითხები ემსახურება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მარეგლამენტირებელ ნორმათა დახვეწას, ამ ნორმების მეტი განჭვრეტადობის უზრუნველყოფას და მათში ისეთი ცვლილების განხორციელებას, რომელიც მომავალში გაამარტივებს განსახილველ დანაშაულთა კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს დამნაშავესათვის სამართლიანი სასჯელის განსაზღვრას, ხელს შეუწყობს სასამართლო პრაქტიკის სწორ განვითარებას.

კვლევის მეთოდები. ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია იურიდიული კვლევის სხვადასხვა მეთოდი. მათ შორისაა დოგმატურ-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, რომლის საფუძველზეც განმარტებულია განსახილველ დანაშაულთა ამსახველი ნორმები და დასაბუთებული და გადმოცემულია განხორციელებული

კვლევის შედეგები. ნაშრომში გამოყენებულია ასევე ისტორიულ-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, სამოხელეო დანაშაულები განხილულია დინამიკაში და მოყვანილია საქართველოს სისხლის სამართლის ისტორიიდან ზოგიერთი სამოხელეო დანაშაული და რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსით, საქართველოს საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსითა და მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის წინამორბედი რედაქციებით განსაზღვრული ნორმები. ნაშრომის მომზადებისას გამოყენებულია ასევე შედარებით-სამართლებრივი და თეორიულ-სამართლებრივი კვლევის მეთოდები. ეროვნული სასამართლოებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით შეფასებულია სამოხელეო დანაშაულის ამსრულებლისქმედების კვალიფიკაცია. ნაშრომში ფართოდააგამოყენებული ასევე იურიდიული კვლევის ისეთი გავრცელებული მეთოდი, როგორცაა ჰერმენევტიკა.

ნაშრომის სტრუქტურა. წინამდებარე ნაშრომი შედგება შესავლის, რვა თავისა და დასკვნისაგან, ხოლო ზოგიერთი თავი თავის მხრივ დაყოფილიაქვეთავებად. პირველი თავი წარმოადგენს სამოხელეო დანაშაულის ზოგად დახასიათებას. მეორე თავში განხილულია სამოხელეო დანაშაულის ისტორიული გენეზისი. მესამე თავი ეთმობა სამოხელეო დანაშაულის ცნებას. მეოთხე თავში განხილულია სამოხელეო დანაშაულის სუბიექტთა წრე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით.მეხუთე თავი ეთმობა საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების (332-ე მუხ.) დახასიათებას, მეექვსე თავი კი - ამავე კოდექსით გათვალისწინებული სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების (333-ე მუხ.) არსს. აღნიშნულ დანაშაულთათვის პასუხისმგებლობის იდენტური დამამძიმებელი გარემოებები ერთობლივადაა განხილული წინამდებარე ნაშრომის მეშვიდე თავში, ხოლო მისი მერვე თავი წარმოაჩენს განსახილველი დანაშაულების ურთიერთგამიჯვნის პრობლემებს.ნაშრომის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია მასში მიმოხილული პრობლემური საკითხები და შემოთავაზებულია მათი გადაჭრის შესაძლო გზები.

თავი I. სამოხელეო დანაშაულის ზოგადი დახასიათება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედი რედაქციით მანამდე არსებული თანამდებობრივი დანაშაულის ცნება შეიცვალა სამოხელეო დანაშაულის

ცნებით. გარდა აღნიშნული საკანონმდებლო ცნებისა, მას ხშირად კორუფციულ და თეთრ საყელოიანთა (White color crime) დანაშაულსაც უწოდებენ.³

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებათა გათვალისწინებით, ასევე წმინდა თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე აპელირებით, იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით სამოხელეო დანაშაულთა კლასიფიკაციას, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ყველა დანაშაულს, რომელთა ჩადენის სუბიექტი შეიძლება იყოს „თანამდებობის პირი“, სამ ჯგუფად ჰყოფს: 1) საერთო სახის თანამდებობრივი დანაშაული; 2) სპეციალური სახის თანამდებობრივი დანაშაული; 3) თანამდებობის პირთა მიერ თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩადენილი სხვადასხვა სახის დანაშაული.⁴

შ. ფაფიაშვილი განსახილველ სამოხელეო დანაშაულებს - სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა (საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხ.) და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას (საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხ.) საერთო სახის სამოხელეო დანაშაულთა ჯგუფს მიაკუთვნებს.⁵

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სამოხელეო დანაშაულთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ცალკე თავად გამოყოფა განაპირობა მოცემულ დანაშაულთა ხელყოფის ერთგვაროვანმა ობიექტმა (სახელწმიფო და საზოგადოებრივი აპარატის სწორი, ნორმალური მუშაობა, მისი ავტორიტეტი და ღირსება). შ. ფაფიაშვილი შენიშნავს, რომ „სწორედ დანაშაულის ხელყოფის ობიექტია ის ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშანი, რომლის საფუძველზე აგებულია საერთოდ საბჭოთა სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის კანონმდებლობა. ამის შესაბამისად, ცხადია, სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეულ თავებსა და მათ შორის „თანამდებობრივი დანაშაული“-ს თავში ცალკეული ნორმების გაერთიანების მთავარი, გადამწყვეტი

³შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2011 წ. გვ. 147.

⁴ფაფიაშვილი, შ. თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის ზოგიერთი პრობლემა, თბილისი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1985 წ. გვ. 48

⁵ფაფიაშვილიშ. სამოხელეოდასატრანსპორტოდანაშაულთაგანისმეთოდისკა, თბილისი, გამომც. „მერიდიანი“, 2003წ. გვ. 6

საფუძველია ამ დანაშაულებრივ ქმედობათა ხელყოფის ობიექტთა ერთიანობა და არა სუბიექტი.“⁶

დანაშაულის ხელყოფის ობიექტის დადგენას ყველა სახის დანაშაულის შემადგენლობის არსის გახსნის გასაღებად მიიჩნევენ.⁷

სამართლიანადაა შენიშნული, რომ საჯარო უფლებამოსილების მატარებელი პირი, საჯარო ხელისუფლების მიერ მათზე მინიჭებულ უფლებამოსილებათა ბოროტად გამოყენებით ხელყოფს სახელმწიფო აპარატის, ასევე ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოთა ნორმალურ საქმიანობას, არღვევს მის ავტორიტეტს, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს ობიექტის განსაკუთრებულ სამართალდაცვას და ასეთი ქმედებების დამოუკიდებელ თავად გამოყოფის აუცილებლობას.⁸

თავი II. სამოხელეო დანაშაულის ისტორიულ ჭრილში მიმოხილვა

ჯერ კიდევ IX-XIII საუკუნეებში, საქართველოს სისხლის სამართლის ისტორიაში უკვე არსებობდა სახელმწიფო დანაშაულები ჩადენილი სპეციალური ამსრულებლის - მოხელის მიერ, რომელთაც „თანამდებობის პირთა დანაშაულებანი“ ეწოდებოდა, რაც ადასტურებს, რომ სამოხელეო დანაშაული ფეხმოკიდებული და აქტუალური იყო რამდენიმე საუკუნის წინაც. მისი სუბიექტები იყვნენ სახელმწიფოსაგან გარკვეული პასუხისმგებლობადაკისრებული საშუალო და მაღალი დონის იერარქები, ასევე სასულიერო პირები. „თანამდებობის პირთა დანაშაულებაში“ შედიოდა „ორგულობა, დალატი, გარდარეული ვერცხლის მოყუარეობა, აღებაი ქრთამისაი, „უდებება და უგულებელ-მყოფელობა“. გარდა აღნიშნულისა, დანაშაულად ითვლებოდა

⁶ფაფიაშვილი, შ. თანამდებობრივ დანაშაულთა ნაშრომის ზოგიერთი პრობლემა, თბილისი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1985 წ. გვ. 53.

⁷ფაფიაშვილი შ., მექრთამეობის გამოძიება, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1972წ. გვ. 42.

⁸ბარაბაძე.

„უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ადაკომერციული მოსყიდვის სუბიექტის სპეციფიკა“, ჟურნ. „სამართალი“, 2004 წ. N3-4 გვ. 48.

თანამდებობის პირის მიერ რაიმე უწყესობაზე, უკანონობაზე თვალის დახუჭვა, რომელიც დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით შესაძლებელია შეფასებულ იქნეს, როგორც მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად ან მის გადამეტებად.⁹

საბჭოთა სისხლის სამართლის სახელმძღვანელოებსა და მონოგრაფიებში „თანამდებობრივი დანაშაული“ უაღრესად ფართოდ იყო გაგებული. იგი განმარტებული იყო როგორც ყოველგვარი მოქმედება ან უმოქმედობა, რომლითაც თანამდებობის პირი, სახელმწიფო მანქანის ჭანჭიკი, ეწინააღმდეგებოდა თავის მოვალეობას; როგორც თანამდებობის პირის ხელყოფა სახელმწიფო (საზოგადოებრივი) სამსახურის სწორად მიმდინარეობაზე, რომლის შემსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი (ა. ტრანინი); სამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევა (ა.ა. ჟიჟილენკო); როგორც თანამდებობის პირის სამსახურებრივი საქმიანობა (ა. გიუნტერი).¹⁰

მიჩნეულია, რომ თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის განვითარების ისტორიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია 1918 წლის 08 მაისს ვ.ი. ლენინის ინიციატივითა და ხელმოწერით გამოცემულ რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალურ დეკრეტს „მექრთამეობის შესახებ“. ამ დეკრეტით იწყება ცალკეული სახის თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის ამსახველი კანონმდებლობის განვითარების ნამდვილი ისტორია, რადგან პირველად სწორედ ამ დეკრეტში აისახა მექრთამეობის, როგორც თანამდებობრივი დანაშაულის ერთ-ერთი სახის იურიდიული ნიშნები თავისი მარტივი და მაკვალიფიცირებელი გარემოებებით.¹¹

საქართველოს სსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა თითქმის მთლიანად გაიზიარა რსფსრ 1922 წლის სისხლის სამართლის კოდექსის თანამდებობრივ დანაშაულთა თავში ჩამოთვლილ დანაშაულთა სისტემა, მათი შემადგენლობა და შემდეგში მათში შეტანილი ცვლილებებიც კი. ამ მუხლების

⁹ ივ. ჯავახიშვილის ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მე-2, 1984 წელი, გვ. 6.

¹⁰ ფაფიაშვილი, შ. თანამდებობრივ დანაშაულთან ბრძოლის ზოგიერთი პრობლემა, თბილისი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1985 წ. გვ. 54.

¹¹ იგივე გვ. 11.

დისპოზიციური ნაწილი უმეტეს შემთხვევაში ტექსტუალურად ემთხვევა ერთიმეორეს. მუხლებს შორის არსებული ძირითადი სხვაობა მხოლოდ ზოგიერთი სახის დანაშაულთა სასჯელში მდგომარეობს.¹²

სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების ადრინდელ ეტაპზე თანამდებობრივი დანაშაულის ობიექტად მიჩნეული იყო იდეალური საზოგადოებრივი სიკეთის დარღვევა. საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში უფრო ფართო გავრცელება ჰპოვა შეხედულებამ, რომლითაც თანამდებობრივ დანაშაულთა გვაროვნულ ობიექტად მიჩნეულია ხელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის სწორი, ნორმალური მუშაობა და მისი ავტორიტეტი.¹³

1961 წლის 1 მარტის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლი ითვალისწინებდა ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, რომლის თანახმად: „ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ესე იგი თანამდებობის პირის მიერ მოქმედების გაზრახ ჩადენა ან არჩადენა სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, რამაც არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერ ინტერესებს...იგივე ქმედობა, ჩადენილი სისტემატურად ან ანგარებით, ან სხვა პირადი მოტივით, ან რასაც მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი.“ მისი 187-ე მუხლი კი ადგენდა ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, კერძოდ: „ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ესე იგი თანამდებობის პირის მიერ ისეთი მოქმედების განზრახ ჩადენა, რომელიც აშკარად სცილდება მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა და რწმუნებათა ფარგლებს, თუ მან არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს...იგივე ქმედობა, ჩადენილი სისტემატურად, ან ანგარებით, ან სხვა პირადი მოტივით, რამაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი გამოიწვია...ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, თუ

¹²ფაფიაშვილი, შ. თანამდებობრივდანაშაულთანბრძოლისზოგიერთიპრობლემა, თბილისი, გამომც. „საბჭოთასაქართველო“, 1985 წ., გვ. 33.

¹³იგივე, გვ. 57.

მას თან ახლდა ძალადობა ან იარაღის გამოყენება, ან დაზარალებულის პირადი ღირსების შურაცხმყოფელი მოქმედება.“¹⁴

თავი III. სამოხელეო დანაშაულის ცნება

სამოხელეო დანაშაულის ცნების მართებულ განმარტებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მისი არსის სწორი გაგება, თითოეული სამოხელეო დანაშაულის მნიშვნელობის მართებული განმარტება, პრაქტიკაში მოხელის მიერ განხორციელებული ქმედებისათვის კანონიერი და ერთგვაროვანი სამართლებრივი შეფასება და განსახილველ დანაშაულთა პრევენციისათვის აუცილებელი, პროპორციული და ქმედითი ღონისძიებების შემუშავება.

ერთ-ერთი დეფინიციის თანახმად: „თანამდებობრივ დანაშაულს ადგილი აქვს მაშინ, როცა თანამდებობის პირი ასეთ დანაშაულებრივ ქმედობას - მოქმედებას ან უმოქმედობას ასრულებს თავის თანამდებობრივ ან სამსახურებრივ ფუნქციებში შემავალ სფეროში, როცა იგი ასეთ დანაშაულებრივ ქმედობას ჩაიდენს თავის სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს“.¹⁵ თუმცა, შ. ფაფიაშვილი უთითებს, რომ „აღნიშნული განმარტება არ არის სრული, რადგან იგი არ მოიცავს ყველა საერთო სახის თანამდებობრივ დანაშაულს და ამ განმარტების გარეთ რჩება ისეთი

¹⁴1961 წლის 1 მარტის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სსსხლის სამართლის კოდექსი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1961 წ. გვ. 95-96

¹⁵ფაფიაშვილი, შ. თანამდებობრივ დანაშაულთა ნბრძოლის ზოგიერთი პრობლემა, თბილისი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1985 წ. გვ. 55.

თანამდებობრივი დანაშაული, როგორცაა მექრთამეობა - ქრთამის აღება (189-ე მუხ.); მექრთამეობაში შუამავლობა (1891-ე მუხ.), ქრთამის მიცემა (190-ე მუხ.) და სამსახურებრივი სიყალბე (191-ე მუხ.).¹⁶

ეროვნული სასამართლოები განმარტავენ, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი მოქმედება ან უმოქმედობა, როდესაც იგი განხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ სამსახურებრივი მდგომარეობის მოშველიებით და გამომდინარეობს ამ უფლებებიდან და მოვალეობებიდან. დამნაშავე ამასთან ერთად არღვევს სამსახურებრივი მოვალეობების ნორმებსა და პრინციპებს, ამახინჯებს საქმის არსს და სხვა პირს, ჩვეულებრივ რიგით თანამშრომელს, მისი აღსრულება არ ძალუძს, იგი ვერ დაამახინჯებს საქმის არსს, ვერ იმოქმედებს მისი თანამდებობრივი მოვალეობის საწინააღმდეგოდ, რადგან ასეთი არ გააჩნია.¹⁷

სამოხელეო დანაშაულის რაობის შესახებ მითითებულია, რომ „თანამდებობრივი დანაშაულის არსი მდგომარეობს თანამდებობის პირის მიერ საკუთარი მდგომარეობის გამოყენებით და სამსახურებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ თანამდებობრივ არამართლზომიერ ქმედებებში (უმოქმედობებში), რომლებიც არსებით ზიანს აყენებენ სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან მოქალაქეთა ინტერესებს, ან კანონით დაცულ მოქალაქეთა უფლებებს.“¹⁸

¹⁶ იგივე, გვ. 55-66.

¹⁷ მჭავანაძე., სისხლისსამართლისკერძონაწილი, გამომც. „ქსუ“, 2000წ. გვ. 509.

¹⁸ ლლონტიგ., კურუფცია, სახელმძღვანელო, თბილისი, 2009წ. გვ. 157.

თავი IV. სამოხელეო დანაშაულის ამსრულებელთა წრე

საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლით, რომელიც განსაზღვრავს სამოხელეო სამართლის საფუძვლებს, დადგენილია, რომ „საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საჯარო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით“ (პირველი პუნქტი). „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში „საჯარო სამსახური“ განმარტებულია, როგორც „სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა (გარდა ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების მიერ განხორციელებული საქმიანობისა), მუნიციპალიტეტის ორგანოებში (დაწესებულებებში) საქმიანობა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობა (გარდა კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო და რელიგიურ, წევრობაზე დაფუძნებულ და ამ კანონითა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კატეგორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობისა). საჯარო სამსახურად ითვლება აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოების აპარატებში, საქართველოს ეროვნული ბანკის აპარატში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის

აპარატში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიების აპარატებში, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში საქმიანობა“(მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სამოხელეო დანაშაულთა (მაგალითად, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, სამსახურებრივი გულგრილობა, კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება და სხვ.) ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული სამსახურებრივი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, ხოლო რიგ შემთხვევაში სამოხელეო დანაშაულის (მაგალითად, ქრთამის მიცემა) სუბიექტად დასაშვებია მოგვევლინოს ყველა ბრალუნარიანი პირი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, „ამ თავით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტები ასევე არიან საჯარო სამართლის იურიდიული პირების (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა) ის თანამშრომლები, რომლებიც ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას, საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის წევრები და თანამშრომლები, საარჩევნო სუბიექტები (მხოლოდ ამ კოდექსის 338-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მიზნებისათვის), კერძო აღმასრულებლები, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას...ამ კოდექსის 338-ე და 339-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა სუბიექტები ასევე არიან საქართველოსა და უცხო ქვეყნის არბიტრაჟების წევრები, ხოლო ამ კოდექსის 338-339 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა სუბიექტები - ნაფიცი მსაჯულები (ნაციფი მსაჯულობის კანდიდატები), რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ აღნიშნულ უფლებამოსილებას.“

აღნიშნულ შენიშვნაში მითითებული სიტყვა „ასევე“ ცხადყოფს, რომ სამოხელეო დანაშაულის ძირითად სუბიექტთა ცნება უნდა ვეძიოთ არა სისხლის სამართლის კოდექსში, არამედ სწორედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში.

4.1. მოხელე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მესამე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოხელე წარმოადგენს „საჯარო მოსამსახურის“ ერთ-ერთ სახეს, ხოლო ამავე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით რეგლამენტირებულია მოხელის ცნება, კერძოდ, მოხელე არის „პირი, რომელიც უვადოდ ინიშნება მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის სამტატო თანამდებობაზე სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, რომელიც ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს, როგორც თავის ძირითად პროფესიულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს მის მიერ საჯარო ინტერესების დაცვას, და რომელიც ამის სანაცვლოდ იღებს შესაბამის ანაზღაურებას და სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიებს“.

4.2. მოხელესთან გათანაბრებული პირი

იურიულ ლიტერატურაში ვხვდებით მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც მოხელესთან გათანაბრებული შეიძლება იყოს პირი, თუ იგი სპეციალური უფლებამოსილების საფუძველზე ახორციელებს ერთჯერად ან მოკლევადიან უფლებამოსლებას. მაგრამ ეს უნდა მოხდეს სამართლებრივ საფუძველზე. მხოლოდ მოხელის ფუნქციის ფაქტობრივი შესრულება, სათანადო იურიდიული გაფორმების გარეშე, გამორიცხავს დამნაშავის ქმედების სამოხელეო დანაშაულით კვალიფიკაციას.¹⁹

უნდა აღინიშნოს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ადგენს საჯარო მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას, არა თუ არ

¹⁹ ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., პასუხისმგებლობა სახელმწიფო დანაშაულისათვის (კომენტარი) თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2000წ. გვ. 110.

განსაზღვრავს მოხელესთან გათანაბრებული პირის ცნებას, არამედ მასში არაფერია ნათქვამი სამოხელეო დანაშაულის ერთ-ერთ ამსრულებელზე - მოხელესთან გათანაბრებულ პირზე და არ იცნობს მსგავს საჯარო მოსამსახურეს. ამიტომ, სამართლიანია მსჯელობა, რომ „ეს ხარვეზი სასამართლო პრაქტიკაში გაუგებრობას გამოიწვევს“.²⁰

ვარაუდობენ, რომ მოხელესთან გათანაბრებულ პირად უნდა მივიჩნიოთ ის პირი, რომელიც მუშაობს დროებით, არმყოფი მოხელის შემცვლელად ან მოვალეობის შემსრულებლად.²¹

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ „მ. ბოკუჩავამ, მუშაობდა რა ნოტარიუსად და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენდა საჯარო მოხელესთან გათანაბრებულ პირს, არაერთგზის ბოროტად გამოიყენა თავისი სამსახურეობრივი უფლებამოსილება.“²²

ამავე გადაწყვეტილებაში განმარტებულია მ. ბოკუჩავას სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ამსრულებლად ცნობის საფუძველი. „იმის გამო, რომ მ. ბოკუჩავა მუშაობდა ნოტარიუსად და წარმოადგენდა საჯარო მოხელესთან გათანაბრებულ პირს.“²³

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის შენიშვნის მეორე ნაწილის თანახმად, „ამ თავის მიზნებისათვის, მოხელესთან გათანაბრებული პირი ასევე გულისხმობს უცხო სახელმწიფოს თანამდებობის პირს (მათ შორის, საკანონმდებლო, ან/და ადმინისტრაციული უფლებამოსილების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანოს წევრს), ნებისმიერ პირს, რომელიც ასრულებს რაიმე საჯარო ფუნქციას სხვა სახელმწიფოსათვის, საერთაშორისო ორგანიზაციის ან ორგანოს თანამდებობის პირს ან ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებულ არამიწველიერ პირს“.

²⁰ ლეკვიშვილი მ., მამულაშვილი გ., პასუხისმგებლობა სახელმწიფო დანაშაულისათვის (კომენტარი) თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2000წ. გვ. 110.

²¹ იგივე, გვ. 109.

²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №2კ-374აპ.-07 საქმეზე

²³ იგივე,

პირს, რომელიც ასრულებს ამ თანამდებობის პირის ან თანამშრომლის ფუნქციების შესაბამის ფუნქციებს, უცხო ქვეყნის კანონმდებლობის საფუძველზე, საერთაშორისო საპარლამენტო კრების წევრს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წარმომადგენელს, საერთაშორისო სასამართლოს ან სასამართლო ორგანოს მოსამართლეს და თანამდებობის პირს.“ მასში სიტყვა „ასევე“ ცხადყოფს, რომ აღნიშნული შენიშვნით გათვალისწინებულია მოხელესთან გათანაბრებულ პირთა ნაწილი, რაც სასამართლო პრაქტიკაში პრობლემებს გამოიწვევს, რამეთუ უცნობია რა წარმოადგენს განსახილველი ამსრულებლის მოხელესთან გამთანაბრებელ კრიტერიუმს.

აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოთხოვნა, რომ „ნორმა ნათელი და განჭვრეტადი უნდა იყოს, რომ იძლეოდეს მისი სწორად განმარტებისა და გამოყენების შესაძლებლობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნორმის კონსტიტუციურობას, თავისთავად, ვერ განაპირობებს და ვერც უზრუნველყოფს სამართალშემფარდებელთა სწორი, კონსტიტუციის შესაბამისი პრაქტიკა“. ²⁴

4.3. სახელმწიფო – პოლიტიკური თანამდებობის პირი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა კონკრეტულ ჩამონათვალს, კერძოდ, ესენი არიან: „საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრი და მისი მოადგილე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობების წევრები და მათი მოადგილეები“ (მესამე მუხლის „თ“ ქვეპუნქტი).

²⁴საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება 1/3/407 საქმეზე, საქართველოს სახალგაზრდაიურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინელომთათიძეს საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 28.

4.4. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დაზუსტებულ სამოხელეო დანაშაულის ამსრულებელთა წრე

სამოხელეო დანაშაულის ამსრულებელთა წრის სრულად განსასაზღვრავად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს სახელმწიფო სამსახურსა და საჯარო სამსახურს²⁵. გამიჯვნის მთავარი კრიტერიუმია ფუნქცია. აღნიშნული კანონის მესამე მუხლის „ა“ ქვეპუნქტში სახელმწიფო სამსახური განმარტებულია, როგორც „საქართველოს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების იმ ორგანოებში (დაწესებულებებში) არჩევით ან დანიშნით თანამდებობაზე საქმიანობა, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვას“.

ხსენებული კანონის მესამე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო მოსამსახურე „პროფესიულ საჯარო მოხელესთან/საჯარო მოხელესთან/ მოხელესთან“ ერთად ასევე გულისხმობს „ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს“ და „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს“.

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირად მიჩნეულია „პირი, რომელსაც საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვს საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება“ („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი), ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირად მიჩნეულია ის საჯარო მოსამსახურე, რომელიც „სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს ხელს უწყობს მისი უფლებამოსილებების განხორციელებაში დარგობრივი/სექტორული რჩევების მიცემით, ინტელექტუალურ - ტექნიკური დახმარების გაწევით ან/და ორგანიზაციულ-

²⁵ ლეგალური დეფინიცია იხილეთ წინამდებარე ნაშრომის მე-16 გვერდზე.

მენეჯერული ფუნქციების შესრულებით“ („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი).

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს ასევე პოლიტიკურ თანამდებობის პირთა ჩამონათვალს, რომლებსაც მიეკუთვნებიან: „სახელმწიფო რწმუნებული, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირი, მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილე“ (მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი).

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს სამოხელეო დანაშაულთა ისეთ ამსრულებლებს, როგორცაა: პოლიტიკური თანამდებობის პირი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რის გამოც აღნიშნულ პირთა მიერ სამოხელეო დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ჩადენილი ქმედების სამართლებრივი შეფასებისას სასამართლოს წარმოეშობა მნიშვნელოვანი პრაქტიკული პრობლემები. ამიტომ საჭიროა სისხლის სამართლის კოდექსის სამოხელეო დანაშაულის თავში განხორციელდეს სისტემური ცვლილებები „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან მიმართებით და სამოხელეო დანაშაულის ამსრულებელთა შორის გათვალისწინებულ იქნეს ასევე: პოლიტიკური თანამდებობის პირი, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

**თავი V. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა
სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის
ქართული კანონმდებლობის მიხედვით**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ვხვდებით არაერთი სპეციალური სახის სამოხელეო დანაშაულს, კანონმდებელმა სრულიად სამართლიანად გათვალისწინა მათ გვერდით ისეთი საერთო სახის სამოხელეო დანაშაულები, როგორცაა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და გადამეტება, ვინაიდან მიჩნეულია, რომ კორუფციას, როგორც მოვლენას, საზღვრები არ აქვს და მის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარიმართოს ყველა

მიმართულებით.²⁶ ამიტომ, ამსრულებლის მიერ ჩადენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და გადამეტების ყოველი ხერხის წინასწარ განსაზღვრა და დამოუკიდებელ მუხლად გათვალისწინება შეუძლებელია.

აღნიშნული დანაშაული, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გულისხმობს „მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია“.

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება მოხელის ისეთი ქმედება, რომელიც მისი სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარეობს და დაკავებული თანამდებობის საფუძველზე მის უფლებამოვალეობათა განხორციელებასთან არის დაკავშირებული.²⁷ ამ დანაშაულის განხორციელებისას „დამნაშავე უმეტესად ამოფარებულია სახელმწიფოს განსაზღვრულ თანამდებობას, პირველ რიგში სახელმწიფო ადმინისტრაციაში“.²⁸

ისევე როგორც სხვა სამოხელეო-კორუფციული დანაშაულები, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება სპეციალურ ამსრულებელს გულისხმობს. ავტორთა ერთგვაროვანი განმარტების თანახმად, სამსახურებრივი უფლებამოსილების ქმედების შემადგენლობას ახორციელებს ადამიანი, ფიზიკური პირია და ეს საკითხი დავას არ იწვევს, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილი ითვალისწინებს ისეთი დანაშაულის შემადგენლობებს, რომელთა განხორციელება, ჩადენაც შეუძლია მხოლოდ სპეციალური ნიშან-თვისებების მქონე ადამიანს, ე.ი. ასეთი დანაშაული მოითხოვს, გულისხმობს სპეციალურ ამსრულებელს და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ქმედების შემადგენლობას სჩადის,

²⁶მთვარელიძე გ., „კორუფციის, როგორც ანტისახელმწიფოებრივი და ანტისაზოგადოებრივი მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის ასპექტები“, ჟურნ. „სამართალი“, 2001 წ. №3 გვ. 9.

²⁷მჭავანაძე., სისხლისსამართლისკერძონაწილი, გამომც. „ქსუ“, 2000წ. გვ. 509.

²⁸ტურავამ., ევროპულისისხლისსამართალი, თბილისი, გამომც. „მერიდიანი“ 2010 წ. 414.

ასრულებს კონკრეტული ამსრულებელი. სუბიექტი კი თანამონაწილის სახით შეიძლება იყოს სხვა ადამიანიც.²⁹

ლიტერატურაში ვხვდებით განსახილველი დანაშაულის ოთხი ძირითადი ნიშნით გამოყოფას:

- 1) თანამდებობის პირის (მოხელის) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ.
- 2) ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა.
- 3) გამორჩენის ან უპირატესობის მიღება.
- 4) მიზეზობრივი კავშირი დანაშაულებრივ ქმედებასა და შედეგს შორის.³⁰

5.1. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ობიექტური შემადგებლობა

გავრცელებული მსჯელობის თანახმად, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ობიექტურ მხარეს ახასიათებს შემდეგი სავალდებულო ნიშნები:

- 1) მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ; 2) ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა; 3) ქმედებასა და დამდაგრ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა.³¹

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება თამამად შეგვიძლია მივაკუთვნოთ კორუფციულ დანაშაულთა წრეს, რამეთუ კორუფცია განმარტებულია

²⁹ გამყრელიძე ო., და ავტორთა კოლექტივი; კორუფცია საქართველოში, თბილისი, 2011 წ. გვ. 179.

³⁰ მჭავანაძე ზ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომც. „ქსუ“, 2000წ. გვ. 509.

³¹ ლეკვეიშვილი ი.,

მამულაშვილი გ.,

დანაშაულისახელმწიფოსადასასამართლოხელისუფლებისწინააღმდეგ, თბილისი, გამომც. „მერიდიანი“, 2002 წ. გვ. 102.

სარგებლის მიღების მიზნით, პირის მიერ საჯარო სამართლებრივ ან კერძოსამართლებრივ მოვალეობის დარღვევად.³²

განსახილველი დანაშაულის ამსრულებელია მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი. მოხელისგან განსხვავებით, მოხელესთან გათანაბრებული პირის მარეგლამენტირებული ნორმა სახელმწიფოში არ არსებობს, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის შენიშვნაში ვხვდებით მის ზოგიერთ წარმომადგენელს.

გარდა ამისა, ამა თუ იმ თანამდებობის პირის მოხელედ ან მასთან გათანაბრებულ პირად განსაზღვრა არ არის საკმარისი ამ პირის სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ამსრულებლად მიჩნევისათვის. აუცილებელია ასევე განისაზღვროს მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის უფლებამოსილება.

სამსახურებრივი მდგომარეობა განმარტებულია, როგორც ვალდებულებათა იმ მოცულობად, უფლებებად და მოვალეობებად, რომელთაც პირი ფლობს დაკავებული თანამდებობის გამო ხელისუფლების ფუნქციის განხორციელების უფლებით ან სპეციალური რწმუნებით და რომელიც მან უნდა შეასრულოს.³³

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც აქტიური მოქმედებით, ისე უმოქმედობით. უმრავლეს შემთხვევაში აღნიშნულ დანაშაულს ამსრულებელი ახორციელებს აქტიური მოქმედებით, თუმცა არც თუ იშვიათია, როდესაც მოხელე თავის უფლებამოსილებას არ ასრულებს და მისმიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედება სწორედ უმოქმედობაში ვლინდება. ამასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „ამავე დროს თ. შ-ამ არ გამოიყენა მისთვის კანონით მინიჭებული უფლება, ბოროტად გამოიყენა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება, არ აღკვეთა ს. ჩ-ის უკანონო, უნებართვო საქმიანობა და შესაბამის

³²Mumladze S., Bestechungsdelikte im deutschen und im georgischen recht, 2015 Y. n. Rn. 2.

³³მჭავანაძეზ., სისხლისსამართლისკერძონაწილი, გამომც. „ქსუ“, 2000წ. გვ. 509.

ორგანოებს არ აცნობა ს. ჩ-ის მიერ ჩადენილი ქმედების შესახებ, რის შედეგადაც ს. ჩ-ის მიმართ არ დაწყებულა წინასწარი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა.³⁴

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება მატერიალური შემადგენლობის დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება, რადგან ამსრულებლის ქმედების საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის არსებითია, რომ მისი განხორციელებას შედეგად მოჰყვეს ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა. ამასთან ერთ-ერთი აღნიშნული შედეგის განხორციელება საკმარისია და ხსენებული მუხლი არ ითხოვს კუმულაციურად მასში მითითებული ყოველი შედეგის არსებობას.

არსებითი დარღვევა შეფასებით კატეგორიას განეკუთვნება და კანონმდებელმა მისი განსაზღვრა ნორმაშემდარდებელ ორგანოთა კომპეტენციას დაუკავშირა. ლიტერატურაში არსებითი დარღვევის არსის შესახებ არაერთ მსჯელობას ვხვდებით, რომლითაც სამართლიანადაა შეფასებული, რომ მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დარღვევა არსებითი იქნება, თუ დარღვეულია ადამიანის ძირითადი კონსტიტუციური უფლებები. არსებითი დარღვევის განსაზღვრაზე კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება გავლენა მოახდინოს ისეთმა ფაქტორებმა, როგორებიცაა: მატერიალური სასაქონლო ფასეულობათა დეფიციტურობა ან მათი მიუღებლობა, მათი სამეურნეო მნიშვნელობა, საწარმოთა ეკონომიკური სიმძლავრე, გამოსაშვები პროდუქციის მოცულობა და სხვ.³⁵

დარღვევის არსებითობის შეფასების ვალდებულება სასამართლოს ეკისრება, რამეთუ იგი არ არის ერთმნიშვნელოვანი, წინასწარ ჩამოყალიბებული ან კანონმდებლობით განსაზღვრული და დამოკიდებულია კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე.³⁶

³⁴საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №2კ-230აპ.-13.

³⁵ლევკვიშვილიმ., მამულაშვილიგ., დანაშაულისახელმწიფოსადასასამართლოხელისუფლებისწინააღმდეგ, თბილისი, გამომც. „მერიდიანი“, 2002 წ. გვ. 105.

³⁶საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №2კ-12აპ.-14. საქმეზე.

იმ შემთხვევაში თუ ამსრულებლის ქმედებას (მოქმედებას ან უმოქმედობას) შედეგად არ მოჰყვა საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი (ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა), ან არ დადგინდება მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი, მათი ქმედებას სათანადო პირობების არსებობისას სასამართლო აკვალიფიცირებს მხოლოდ და მხოლოდ დისციპლინალურ გადაცდომად, სამსახურებრივი უფლებამოსილების არაჯეროვნად განხორციელებად.³⁷

გაბატონებული მსჯელობის თანახმად, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საერთო სახის სამოხელეო დანაშაულია, ამასთან სსკ-ითვალისწინებს მის კერძო შემთხვევებსაც. აღნიშნულის გამო ყურადღება უნდა მიექცეს ასევე მოხელის ქმედება სპეციალურად ხომ არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსით, ვინაიდან, ასეთის არსებობის შემთხვევაში საკითხი გადაწყდება ნორმათა კონკურენციის საფუძველზე და იგი დაკვალიფიცირდება არა საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით, არამედ შესაბამისი სპეციალური მუხლით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ცხადყოფს, რომ აღნიშნული საკითხი არის აქტუალური პრაქტიკული პრობლემა. არაერთ გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატა ერთმნიშვნელოვნად განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც პირის ქმედებაში სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობასთან ერთად არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სპეციალური ნორმით გათვალისწინებული შემადგენლობაც, რომლითაც დაწესებულია პასუხისმგებლობა იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რასაც ასევე მოიცავს ზოგადი ნორმის შემადგენლობა, მაშინ აღნიშნული ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სპეციალური ნორმით.³⁸

³⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის №1/3137-14 საქმეზე.

³⁸ იხ. ვრცლად საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები №2კ-939აპ.-06; №2კ-932აპ.-06; №2კ-733აპ.-06 საქმეებზე.

5.2. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სუბიექტური შემადგენლობა

სუბიექტური მხრივ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახი ბრალით. თუმცა მოცემულ საკითხზე იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. იურისტების ერთი ნაწილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და ბოროტად გამოყენების ჩადენის შესაძლებლად მიიჩნევენ „ორმაგი“ ანუ „შერეული“ ბრალით. მათი აზრით (ა. ტრანისის, ნ. ლევიკინას, ვ. კირიჩენკოს, ა. კუზნეცოვასა და სხვ.), თანამდებობის პირის ფსიქიკური დამოკიდებულება შეიძლება იყოს განზრახი ან გაუფრთხილებელი თავისი მოქმედებისა და უმოქმედობის მიმართ, შედეგის მიმართ კი გაუფრთხილებელი.³⁹

აღნიშნულს არ ეთანხმება მეცნიერთა დიდი უმრავლესობა. მათი აზრით, „სუბიექტური მხრივ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება განზრახვაში ვლინდება. დანაშაულის სუბიექტს გაცნობიერებული აქვს მისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს, რომ ბოროტად იყენებს თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას სამსახურის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, ასევე ითვალისწინებს დარღვევის შესაძლებლობას ან გარდაუვალობას და სურს მისი ასეთი გამოყენება; ან არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას.“⁴⁰

რაც შეეხება დანაშაულის სუბიექტური მხარის ისეთ ნიშნებს, როგორცაა მოტივი და მიზანი, ისინი საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლში მითითებულია, როგორც მოხელის ან მასთან გათანაბებული პირის მიერ თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მიღება.

რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 285-ე მუხლში სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მიზანი და მოტივი უფრო

³⁹ ფაფიაშვილიმ., სამოხელეოდასატრანსპორტოდანაშაულთაგახნისმეთოდისკა, თბილისი, გამომც. „მერიდიანი“, 2003წ. გვ. 13.

⁴⁰ ლეკვეიშვილიმ., მამულაშვილიგ., დანაშაულისახელმწიფოსადასამართლოხელისუფლებისწინააღმდეგ, თბილისი, გამომც. „მერიდიანი“, 2002 წ. გვ. 106-107.

გაფართოებულია, რამეთუ მითითებულია, რომ მოხელის ქმედება განპირობებული უნდა იყოს პირადული მოტივი ან სხვა დაინტერესება. აღნიშნული გულისხმობს, რომ ამსრულებლის მოტივი შესაძლოა საერთოდ არ იყოს ანგარებითი. ასეთ პირადულ მოტივად მიიჩნევენ თანამდებობის პირის ისეთ არამართლზომიერ ქმედებას, რომლის მიზანია მატერიალური გამორჩენა სხვისი საკუთრების ხარჯზე, ხოლო სხვა დაინტერესებაში იკვეთება არამატერიალური სარგებლის მიღების მიზანი, ისეთი როგორიცაა: კარიერიზმი, საკუთარი არაკომპეტენტურობის დაფარვა და სხვ.⁴¹

საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით არაა განსაზღვრული სარგებლის და გამორჩენის ზღვრული ოდენობა, თუმცა ეს ფაქტი ვერ დაიმსახურებს კრიტიკას, ვინაიდან ამ დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანია შედეგი - არსებითი ზიანის მიყენება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისათვის, რამეთუ სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს დანაშაულის საშიშროებას და არა მოხელის მიზნით მოცული სარგებლის ღირებულება და ფარგლები.

ამსრულებლის ან მესამე პირისათვის გამორჩენის და უპირატესობის მიღებას ითვალისწინებს ასევე გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მმართველობის სფეროში ჩადენილი ზოგიერთი დანაშაულის შემადგენლობაც, რაზეც იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ იგი ისეთ უპირატესობას წარმოადგენს, რომლის მოპოვების უფლებაც არ არსებობს.⁴²

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია, რომ სარგებელს შესაძლოა წარმოადგენდეს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სამართლებრივი სიკეთე. აღნიშნული ისეთი სარგებელია, რომელიც სხვა პირისათვის საფრთხეს წარმოადგენს.⁴³ მატერიალური სარგებელი შეიძლება იყოს ფულით გამოხატული, მაგალითად, მოგზაურობაზე მიწვევა, ასევე რაიმე გამოსადეგი ქმედება.⁴⁴

⁴¹Борзенков Г. Н. и авторский коллектив, Уголовное право российской федераций (особенная часть), Москва, изд. „ОлимпАСТ“, 1997 г. Ст. 575-576.

⁴²იგივე, გვ. 414.

⁴³Mumladze S., Bestechungsdelikte im deutschen und im georgiscchen recht, 2015 y. Rn. 92.

⁴⁴იგივე, გვ. 93.

არამატერიალური სარგებელი კი გამოიხატება რაიმე პროფესიული დაპირებით, ასევე სამუშაო ადგილის დაპირებით, თანამდებობრივი წახალისებით და სხვ.⁴⁵

ცნობილია, რომ გამორჩენის ან უპირატესობის მიღება შეიძლება გამოხატული იყოს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მეშვეობით დამნაშავეს მისწრაფებაში - მიიღოს რაიმე ქონებივი ან არაქონებრივი გამორჩენა თავისთვის ან სხვა პირთათვის.

აღნიშნულთან დაკავშირებით აღსანიშნავია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლით მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ისეთი დანაშაული, როგორცაა მითვისება ან გაფლანგვა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რა დროსაც მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით ითვისებს ან ფლანგავს კანონიერ საფუძველზე მისთვის მინდობილ და მის გამგებლობაში არსებულ ნივთს ან/და ქონებრივ უფლებას. ამ შემთხვევაში ამსრულებლის მისწრაფებას სწორედ, რომ თავისთვის ან სხვა პირისათვის (პირთათვის) ქონებივი გამორჩენა, მათ შორის სახელმწიფო სახსრების მართლსაწინააღმდეგო ამოღება წარმოადგენს.

ეს ის შემთხვევაა, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობასთან ერთად არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სპეციალური ნორმით გათვალისწინებული შემადგენლობაც, რომლითაც დაწესებულია პასუხისმგებლობა იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რასაც ასევე მოიცავს ზოგადი ნორმის შემადგენლობა.

შ. ფაფიაშვილი აღნიშნავს, რომ „ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება თავისი ბუნებით ახლოს დგას სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების

⁴⁵Mumladze S., Bestechungsdelikte im deutschen und im georgischen recht, 2015 y. Rn. 94.

დატაცებასთან. სწორედ ამიტომ არის, რომ ხშირად სასამართლოებს უჭირთ მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რასაც ქმედობის მცდარი კვალიფიკაცია მოჰყვება ხოლმე.⁴⁶

განსხვავებით სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან, საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისათვის მაკვალიფიცირებელ გარემოებას არ წარმოადგენს ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა და მისი დამთავრებულად ცნობისათვის არ არის სავალდებულო მსგავსი მძიმე შედეგის განხორციელება, მთავარია, რომ პირმა მიითვისოს ან გაფლანგოს ნივთი ან ქონებრივი უფლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ „მსჯავრდებულ გ. გ-ძეს შერაცხული ბრალდების კვალიფიკაციიდან უნდა ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, როგორც ზედმეტად წარდგენილი, რადგან იგი ასევე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, რაც მაკვალიფიცირებელ გარემოებად ითვალისწინებს ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და დამატებით, ზოგადი ნორმით - 332-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით კვალიფიკაციას აღარ საჭიროებს, რის გამოც გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება მსჯავრდებულ გ. გ-ძის სასიკეთოდ.“⁴⁷

ცნობილია, რომ „დანაშაულებრივი ქმედება არ უნდა მივიჩნიოთ კორუფციულად, თუ ეკონომიკური კეთილდღეობა უფრო მძიმე სამართლებრივი სიკეთის ხელყოფით მიიღწევა, ვიდრე ეკონომიკური ურთიერთობის ხელყოფაა.“⁴⁸ აღნიშნულის დასტურად მოყვანილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის

⁴⁶ ფაფიაშვილიძე., თანამდებობრივდანაშაულთანბრძოლისზოგიერთიპრობლემა, თბილისი, ჟურნ. „საბჭოთასამართალი“, 1985 წ. გვ. 31.

⁴⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ნისისხლის სამართლის საქმეზე, კერძონაწილი, 2008წ. N11, გვ. 159.

⁴⁸ ე. ფუტკარაძე, რ. ფუტკარაძე, „კორუფციასთანბრძოლისკონსტიტუციურ-სამართლებრივიასპექტიბიდასისხლისსამართლებრივიასპექტიბი“; ჟურნ. „ადამიანიდაკონსტიტუცია“, N4, 2004 წ. გვ. 4.

1431-ე მუხლი, რომელიც გულისხმობს ტრეფიკინგს ჩადენილს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ავტორის განმარტებით, აღნიშნული მუხლის „კორუფციულ ხასიათს ფარავს უფრო მძიმე შედეგი - ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფა.“⁴⁹

აღნიშნული ცხადყოფს, რომ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული დანაშაული არ არის კორუფციული, ვინაიდან იგი მოთავსებულია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შორის და კანონმდებელმა პრიორიტეტი მიანიჭა საკუთრების უფლებას.

საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლში აღნიშნულია: „სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად“. მაშასადამე, კანონმდებელი არ აზუსტებს სხვა პირთა ცნებას. იგი ფართოდ არის გაგებული, ვინაიდან მასში ნათესავებისა და ახლობლების გარდა, იგულისხმება სხვა პირებიც. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისას „სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მიღებაში“ ნაგულისხმევია ისეთი პირიც, რომელსაც არავითარი ახლო დამოკიდებულება არა აქვს დამნაშავესთან, მაგრამ ეს უკანასკნელი, გარკვეული მოსაზრების გამო, დაინტერესებულია რაიმე გამორჩენა ან უპირატესობა მიაღებინოს მას.⁵⁰

ყოველივე ზემოაღნიშნულის შესაბამისად, სავალდებულოა, რომ ამსრულებელს ზედმიწევნით ზუსტად ჰქონდეს განსაზღვრული ის პირი (პირები), რომელთაც მიანიჭებს თავისი დანაშაულებრივი ქმედებით გამორჩენასა თუ უპირატესობას, აგრეთვე სწორედ ეს სურვილი უნდა ამოძრავებდეს მას.

⁴⁹ ე. ფუტკარაძე, რ. ფუტკარაძე, „კორუფციასთანბრძოლისკონსტიტუციურ-სამართლებრივიასპექტებიდასისხლისსამართლებრივიასპექტები“; ჟურნ. „ადამიანიდაკონსტიტუცია“, №4, 2004 წ. გვ. 138.

⁵⁰ სისხლისსამართლისკერძონაწილი (II) კომენტარი, ავტორთაკოლექტივი, მეოთხეგამოცემა, თბილისი, გამომც. მერიდიანი. 2012 წ. გვ. 197.

**თავი VI. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა
სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის
საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით**

საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით რეგლამენტირებული დანაშაული - სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება გამოიხატება კანონმდებლობით რომელიმე კონკრეტული მოთხოვნის ან რამდენიმე მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში არა აბსტრაქტულ ქმედებაში. ამსრულებელმა შეიძლება ჩაიდინოს

რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომლითაც დაარღვევს ან აასრულებს მისთვის კანონმდებლობით განსაზღვრულ, დადგენილ უფლებამოსილებას.⁵¹

სამსახურეობრივი მდგომარეობით მინიჭებული უფლებამოსილების გადამეტების ქმედების განმარტების მნიშველობაზე განმარტებულია, რომ აღნიშნული რელევანტურია როგორც ამ დანაშაულის ძირითადი შემადგენლობის დადგენისათვის, ისე მისი გამიჯვნისათვის როგორც სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების კვალიფიციურ შემადგენლობათაგან, ისე სსკ-ის სხვა მუხლებით გათვალისწინებულ სამოხელეო და კორუფციულ დანაშაულთა შემადგენლობისათვის.⁵²

სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების შემადგენლობის განხორციელებასთან დაკავშირებით მითითებულია, რომ მისი ჩადენა შეიძლება სხვადასხვა ქმედებით, უფრო ზუსტად კი ყველა იმ ქმედებით, რომელიც სცილდება ამსრულებლის უფლებამოსილების ფარგლებს და გამოიწვევს ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებით დარღვევას.⁵³

განსახილველ დანაშაულთან დაკავშირებით სავსებით სწორად აღინიშნა, რომ მისი საშიშროება განპირობებულია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის ქმედებით, რომელიც აშკარად სცილდება მისი უფლებამოსილების ფარგლებს და იწვევს მოქალაქეთა უფლებების, საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესების არსებით დარღვევას. ამასთან, ამგვარი ქმედება შეიძლება დაკავშირებული იქნეს მოქალაქეთა მიმართ ძალადობასთან, იარაღის გამოყენებასთან, რაც უფრო ზრდის ამ დანაშაულის საშიშროებას.⁵⁴

მიჩნეულია, რომ დანაშაული, რომლისთვისაც პასუხისმგებლობა განსაზღვრულია სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით, წარმოადგენს მოხელის მიერ სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სახესხვაობას. მათ შორის

⁵¹გამყრელიძეო., დავტორთაკოლექტივი; კორუფციასაქართველოში, თბილისი, 2011 წ. გვ. 212.

⁵²იგივე, გვ. 231..

⁵³იგივე, გვ. 220

⁵⁴სისხლისსამართლისკერძონაწილი (II) კომენტარი, ავტორთაკოლექტივი, მეოთხეგამოცემა, თბილისი, გამომც. მერიდიანი. 2012წ. გვ. 200.

განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სამსახურეობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისას მოხელე უკანონოდ საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ იყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, ხოლო სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებისას კი მისი მოქმედება სცილდება სამსახურეობრივ უფლებამოსილებას.⁵⁵

6.1. სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების ობიექტური შემადგენლობა

დანაშაულის ობიექტურ მხარეში მოიაზრება ქმედების გარეგანი აქტი, რომელიც მთელი რიგი იურიდიული ნიშნებით ხასიათდება.⁵⁶ დანაშაულის ქმედების ობიექტური მხარის ნიშნებად მითითებულია: მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), დანაშაულის შედეგი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის, დანაშაულის ჩადენის ხერხი, იარაღი, ადგილი, დრო და ვითარება.⁵⁷

საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტი იდენტურია სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ამსრულებლისა, რომლებიც არიან: სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი, ასევე საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის შენიშვნაში დაზუსტებულ პირთა წრე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „გ. კუპრეიშვილმა „გადაამეტა სამსახურეობრივი უფლებამოსილება, განზრახ არ შეასრულა...“ მისთვის სავალდებულო მოქმედება. ამ შემთხვევაში მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურეობრივი მოქმედების შეუსრულებლობა, „არ შესრულება“, ნიშნავს სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებას.⁵⁸

⁵⁵ იგივე, გვ. 200.

⁵⁶ ნაჭყებია, გ., სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, თბილისი, გამომც. 2002 წ. გვ. 67.

⁵⁷ ტყეშელიძე, დაავტორთაკოლექტივი, სისხლისსამართლის ზოგადინაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2007 წ. გვ. 115.

⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №2კ-733პ.-06 საქმეზე

აღნიშნული გადაწყვეტილება ადასტურებს, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც აქტიური, ისე პასიური ქმედებითაც.

ისევე როგორც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, გადამეტების შემთხვევაშიც ცალსახად აღნიშნულია, რომ „დამნაშავის მოქმედება დაკავშირებული უნდა იყოს მის სამსახურებრივ უფლებამოსილებასთან, მისგან გამომდინარეობდეს და ჩადენილ იქნეს მოხელის სამსახურებრივი საქმიანობის პროცესში და მასთან დაკავშირებით. ამგვარი კავშირის არ არსებობისას ამგვარი დანაშაულის შემადგენლობა გამორიცხულია.“⁵⁹

როგორც სსკ-ის 333-ე მუხლშია მითითებული, სამსახურებრივი უფლებამოსილების დამთავრებულად ცნობისთვის საჭიროა მასში გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა - ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა.

6.2. სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების სუბიექტური შემადგენლობა

გაბატონებულია მოსაზრება, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების სუბიექტური მხარე ხასიათდება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვით, რამდენადაც მოხელეს გაცნობიერებული აქვს როგორც მის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ისე მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა ან გარდუვალობა და სურს მისი დადგომა ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებისა ან საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი

⁵⁹სისხლისსამართლისკერძონაწილი (II) კომენტარი, ავტორთაკოლექტივი, მეოთხეგამოცემა, თბილისი, გამომც. მერიდიანი. 2012 წ. გვ. 201.

დარღვევის სახით; ან თუმცა არ სურს, მაგრამ შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება მის დადგომას.⁶⁰

სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ როდესაც მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით ითვისებს მის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ქონებას, აღნიშნული ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით, არამედ ამავე კოდექსის 182-ე მუხლით, რამეთუ აღნიშნული ქმედების კვალიფიკაცია უნდა გადაწყდეს ნორმათა კონკურენციის საფუძველზე. ამ შემთხვევაში მოხელის გამორჩენის მიღების მიზანი ქმედების სამართლებრივი შეფასებისას არსებით მნიშვნელობას იძენს, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში მისი ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 333-ე მუხლით.⁶¹

უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ „თუ პირის ქმედებაში სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობასთან ერთად არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სპეციალური ნორმით გათვალისწინებული შემადგენლობაც, რომლითაც დაწესებულია პასხისმგებლობა იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელსაც ასევე მოიცავს ზოგადი ნორმის შემადგენლობა, მაშინ აღნიშნული ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სპეციალური ნორმით. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი მაკვალიფიცირებელ გარემოებად ითვალისწინებს აღნიშნული დანაშაულის ჩადენას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დამატებით, ზოგადი ნორმით - 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით კვალიფიკაციას აღარ საჭიროებს.“⁶²

⁶⁰სისხლისსამართლისკერძონაწილი (II) კომენტარი, ავტორთაკოლექტივი, მეოთხეგამოცემა, თბილისი, გამომც. მერიდიანი. 2012 წ. გვ. 202.

⁶¹საქართველოსუზენაესისასამართლოსგადაწყვეტილება №23-932აპ.-06 საქმეზე.

⁶²საქართველოსუზენაესისასამართლოსგადაწყვეტილებანი, სისხლისსამართლისსაქმეზე, კერძონაწილი, 2007 წ. №11, გვ. 15.

თავი VII. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის

მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და ამავე კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება იდენტური თანმიმდევრობით ითვალისწინებენ შედეგ დამამძიმებელ გარემოებებს: სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (გადამეტება) ჩადენილი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ; აღნიშნული მუხლების პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა არაერთგზის, ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით.

განსახილველ სამოხელეო დანაშაულთა დაცვის ობიექტის ღირებულების, მისი სისტემური ხასიათის, მასშტაბურობის, საფრთხის შემცველობის, თავისებურებების, ჩადენის ხერხებისა და სახელმწიფოს კონსტიტუციური მიზნების მხედველობაში მიღებით მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ მათგანს დაემატოს ისეთი დამამძიმებელი გარემოებები, როგორცაა აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

აღნიშნული დამამძიმებელი გარემოება გათვალისწინებულია რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამოხელეო სპეციალურ სამოხელეო დანაშაულებითაც, 285.1 და 285.2 მუხლების მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, კერძოდ, საბიუჯეტო სახსრებისა და სახელწმიფოს არასაბიუჯეტო ფონდების გაფლანგვა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთი სპეციალური სახის სამოხელეო დანაშაული, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლი ამძიმებს პასუხისმგებლობას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ მითვისების ან გაფლანგვისათვის (182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი), ისე სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი მითვისების ან გაფლანგვისათვის (182-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი). თუმცა სსკ-ის 332-ე და ამავე კოდექსის 333-ე მუხლებით გათვალისწინებული საერთო სახის სამოხელეო დანაშაულები აღნიშნულ დამამძიმებელ გარემოებებს საერთოდ არ ითვალისწინებენ, რაც მნიშვნელოვანი საკანონმდებლო დანაკლისია. გამოდის, რომ წინასწარ შეთანხმებულ მოხელეთა მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით მათთვის მინდობილი ქონების მითვისების ან გაფლანგვის შემთხვევაში ისინი დაისჯებიან უფრო მკაცრად, ვიდრე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების სხვა ფორმით განხორციელებისას, რამეთუ კანონი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და ბოროტად გამოყენების ყველა ხერხისათვის არ ითვალისწინებს ხსენებულ დამამამძიმებელ გარემოებებს.

აღსანიშნავია, რომ როდესაც რამდენიმე მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი წინასწარ შეკავშირდება და გადაწყვეტს ერთობლივი ძალებითა და თითოეული მათგანის სამსახურებრივი მდგომარეობის მეშვეობით განახორციელონ განსახილველი დანაშაული, მათი ქმედება უფრო ზრდის სამოხელეო დანაშაულთა საშიშროებას. შეკავშირებულ თანამსრულებელთა მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო შედეგი უფრო მძიმე და მასშტაბურია, რამეთუ რამდენიმე მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილება უფრო ფართო და ღირებულია ვიდრე ერთი კონკრეტული სუბიექტისა.

განსახილველი დანაშაულის წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენაზე კიდევ უფრო მძიმე სახეს ატარებს მათი განხორციელება ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რამეთუ ამ უკანასკნელ შემთხვევაში საჯარო მოსამსახურენი წინასწარი შეკავშირებით, ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ჰქმნიან სტრუქტურული ფორმის ჯგუფს, რათა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებითა თუ მისი გადამეტებით პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღონ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებელი. ამასთან საჯარო სამსახურის (დაწესებულების) ავტორიტეტის შელახვას და მის დისკრედიტაციას რამდენიმე შეკავშირებული მოსამსახურის დანაშაულებრივი ქმედება მეტად გამოიწვევს, ვიდრე ცალკეული მათგანის დამოუკიდებელი ქმედება, რამეთუ მათი ძალაუფლება უფრო ფართოა, ვიდრე ერთი კონკრეტული მოხელისა. ამასთან, მსგავს შემთხვევასი ბრკოლდება გამოძიების პროცესი და დამნაშავენი ცდილობენ მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის თავის არიდების მიზნით დაფარონ დანაშაულებრივი კვალი. ამასთან ცნობილია, რომ „ორგანიზებული დანაშაული შეიძლება შეიქმნას ერთი დანაშაულის ჩასადენადაც“.⁶³

7.1. სახელმწიფო – პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის⁶⁴ მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების კვალიფიციურ შემადგენლობად საკანონმდებლო ჩამოყალიბება განპირობებულია იმით, რომ რაც უფრო მაღალი და მნიშვნელოვანი თანამდებობა უჭირავს პირს, მით უფრო მეტი ზიანის მოტანა შეუძლია როგორც მოქალაქეებისათვის, ისე საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის.⁶⁵

რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 285-ე მუხლის (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება) და 286-ე მუხლის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მუხლის მეორე ნაწილებში მითითებულია: იგივე ქმედება, ჩადენილი რუსეთის ფედერაციის სასახელმწიფო თანამდებობის პირის,

⁶³ გამყრელიძე, ო., საქართველოს სისხლისსამართლის კოდექსის განმარტება; თბილისი 2008 წ. გვ. 105.

⁶⁴ სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების ჩამონათვალი იხილეთ წინამდებარე ნაშრომის მე-19-20 გვერდებზე.

⁶⁵ სისხლისსამართლის კერძონაწილი (II) კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, მეოთხე გამოცემა, თბილისი, გამომც. მერიდიანი. 2012 წ. გვ. 197.

რუსეთის ფედერაციის სუბიექტის თანამდებობის პირის, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი პირის მიერ.

საქართველოს სსკ-ის 332-ე და 333-ე მუხლების მეორე ნაწილები უშვებს სახელწმიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის ერთი ქმედების როგორც დისციპლინურ გადაცდომად, ისე დანაშაულად დაკვალიფიცირებას. აღიარებულია, რომ „სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობამ ან არაჯეროვნად შესრულებამ შესაძლოა გამოიწვიოს როგორც დისციპლინური, ასევე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც, ამიტომ აუცილებელია მითითებული იყოს იმ თვისობრივ ნიშანსა და შედეგობრივ ზღვარზე, რომელიც მახასიათებელი იქნებოდა სწორედ დისციპლინური გადაცდომისათვის.“⁶⁶

ხსენებული ნორმა მეტად ბუნდოვანია და საჭიროა განსახილველი დამამძიმებელი გარემოება ჩამოყალიბდეს რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის აღნიშნული ნორმების მსგავსად, რამეთუ საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, „ისეთი საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც სამართალგამოყენებისას იწვევს შეცდომის რისკს, ეწინააღმდეგება კანონის სიზუსტისა და გამჭვირვალობის მოთხოვნას.“⁶⁷

7.2. არაერთგზის

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე და 333-ე მუხლების მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინებულია, აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენა არაერთგზის.

ამავე კოდექსის მე-15 მუხლით არაერთგზისობა განმარტებულია, როგორც წინათ ნასამართლევ პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ამასთან, დანაშაული არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის

⁶⁶მორგომიაა., „საჯარომოსამსახურისდისციპლინურიპასუხისმგებლობისთავისებურებანი“, ჟურნ. „სამართალი“, 2000წ. №4-5 გვ. 38.

⁶⁷საქართველოსსაკონსტიტუციოსასამართლოს 2005 წლის 26 დეკემბრისგადაწყვეტილება 1/3/407 საქმეზე, საქართველოსსახალგაზრდაიურისტთაასოციაციადსაქართველოსმოქალაქე - ეკატერინელომთათიძესაქართველოსპარლამენტისწინააღმდეგ, II, 28.

გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ანდა თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს დათქმას, რომ „პირი მოხელედ არ მიიღება, თუ იგი ნასამართლევა განზრახი დანაშაულისათვის“.

აღნიშნულ ნორმათა გათვალისწინებით ბუნდოვანია, როგორ შეიძლება განახორციელოს მოხელემ ზემოაღნიშნული განზრახი დანაშაულები არაერთგზის.

სავარაუდოდ, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ 2007 წლის 4 ივლისის კანონის მიღებამდე, აღნიშნული კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის რედაქცია არაერთგზის დანაშაულად განმარტავდა ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენას.⁶⁸ ამ მოცემულობით, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და გადამეტება შეიძლებოდა ჩადენილი ყოფილიყო არაერთგზის. ხსენებული ცვლილებების განხორციელების შემდეგ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს, წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებლი დანაშაულის ჩადენას, თუმცა საქართველოს სსკ-ის 332-ე და 333-ე მუხლში დამამძიმებელ გარემოებად კვლავ დარჩა დამამძიმებელ გარემოებად არაერთგზისობა.

უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მოთხოვნის მიუხედავად, შესაძლოა მოხელემ სამსახურში მიღებისათვის წარადგინოს ყალბი ნასამართლობის ცნობა ან/და ნასამართლობის საკითხი დამსაქმებელმა არ შეამოწმოს, ამიტომ თუ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის ნასამართლევი პირმა, საჯარო სამსახურის შესახებ კანონის დანაწესის მიუხედავად დაიკავა მოხელის

⁶⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის კანონი №5196 - სსმ I, №28, 18.07.2007 წ., მუხ.283.

თანამდებობა და კვლავ გაიმეორა წინათ ჩადენილი დანაშაული, ნორმაშემფარდებელ ორგანოთათვის დაბრკოლების თავიდან ასაცილებლად უფრო მნიშვნელოვანია შენარჩუნდეს კანონში განსახილველი დამამძიმებელი გარემოება.

არაერთგზისობას არ ექნება ადგილი, თუ დამნაშავე სამსახურებრივ უფლებამოსილებას ბოროტად იყენებს ისე, რომ მას საფუძვლად უდევს ერთიანი განზრახვა და საერთო მიზანი.

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ერთიანი განგრძობადი და არაერთგზისი დანაშაულის გამიჯვნას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი დაკავშირებულია დამნაშავეს ქმედების ზუსტ კვალიფიკაციასთან. ამ საკითხის გადაწყვეტისას აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ არა მარტო ობიექტური ფაქტორი, კერძოდ ის, რომ განგრძობადი სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში ცალკეული, ერთი და იმავე ხასიათის დანაშაულებრივი აქტი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, როგორც ერთიანი დანაშაულებრივი ჯაჭვის რგოლები, არამედ სუბიექტური ფაქტორიც - ცალკეული დანაშაულებრივი აქტი, რომელიც თუმცა დროში გაწელილია, მაგრამ ერთიანი განზრახვითა და ერთი საერთო მიზნით არის მოცული.⁶⁹

7.3. ძალადობით ან იარაღის გამოყენებით

მოხელის ან მასთან გათანაბრებული თანამდებობის პირის მიერ გამოყენებული ძალადობის ცნება განმარტებულია, ამ უკანასკნელთა მიერ ფიზიკური და სხვა ფსიქიკურ მოქმედებად. ავტორი აღნიშნავს, რომ: ასეთი შედეგების მქონე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების დამატებითი კვალიფიკაცია სიხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით საჭირო აღარაა. მისი დამატებითი კვალიფიკაცია აუცილებელია მხოლოდ მაშინ, თუ მის დანაშაულერივ ქმედებას მოჰყვა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება ან სიკვდილი, ან თუ იგი ჩადენილ იქნა მტანჯავი საშუალებით, ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედებით ან ქალის უმწეო მდგომარეობის

⁶⁹ფაფიაშვილიშ., კრიმინალისტიკა (ტომი III), დანაშაულთაგახსნისმეთოდოლოგია, თბილისი, გამომც. მერიდიანი 2006 წ. გვ. 425.

გამოყენებით ჩაიდინა გაუპატიურება...ძალადობის გამოყენება გამოიხატება დაზარალებულის ფიზიკურ ან ფსიქიკურ იძულებაში - ჩაადენინონ მას უკანონო მოქმედება ან შეაწყვეტინონ მართლზომიერი საქმიანობა მოხელის მართლსაწინააღმდეგო ინტერესიდან გამომდინარე. ძალადობად ჩაითვლება დაზარალებულის ცემა, ფიზიკური ტკივილის მიყენება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების შეზღუდვა და სხვა.⁷⁰

„იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის თანახმად, „იარაღი არის მოწყობილობა ან საგანი, რომელიც კონსტრუქციულად განკუთვნილია ცოცხალი ან სხვა ობიექტის დასაზიანებლად ან/და გასანადგურებლად, ან სიგნალის მისაწოდებლად“, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღი განმარტებულია, როგორც „იარაღი, რომელშიც ჭურვი ან საფანტის ჭურვები მიმართულ მოძრაობას იწყებს დენტის ან სხვა მუხტის წვისას გამოყოფილი ენერჯის შედეგად და რომელიც განკუთვნილია ობიექტის მანძილიდან მექანიკურად დასაზიანებლად ან/და გასანადგურებლად“. ამავე კანონის მესამე მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, „ცივ ან ცივ სასროლ იარაღს მიეკუთვნება იარაღი, თუ იგი შეესაბამება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ დამტკიცებულ შესაბამისი სახის იარაღის ტექნიკურ მახასიათებლებს“.

„იარაღის გამოყენება გულისხმობს დაზარალებულზე ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედების მიზნით მის ფაქტობრივ გამოყენებას. იარაღის ცნების ქვეშ იგულისხმება მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღი (საბრძოლო, სამსახურებრივი ან სამოქალაქო), რომელიც გამიზნულია ცოცხალი მიზნის გასანადგურებლად და რომლის ტარებისა და გამოყენებისათვის სპეციალური ნებართვაა საჭირო. იარაღის გამოყენება გულისხმობს მისი გამანადგურებელი თვისების ფაქტობრივ გამოყენებას ან მისი გამოყენების მცდელობას. იარაღის დემონსტრირება ან მისი გამოყენების მუქარა, რომელიც რეალურ

⁷⁰ფაფიაშვილიშ., კრიმინალისტიკა (ტომი III), დანაშაულთაგახსნისმეთოდთა, თბილისი, გამომც. მერიდიანი 2006 წ. გვ. 425.

საერთხეს არ უქმნის დაზარალებულის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ამ დანაშაულის შემადგენლობას არ წარმოადგენს.“⁷¹

7.4. დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით

განსახილველ დამამძიმებელ გარემოებასთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომელშიც დიდი პალატა განმარტავს: „დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფა არის მოქმედება, რომელიც უწესო ფორმით ამცირებს პირის ღირსებას ან ისეთი ფორმით, რომელიც შეურაცხოვაში გამოიხატება, სახელდობრ, დაზარალებულის მიმართ შეურაცხმყოფელი გამოთქმები საჯარო გამოსვლების დროს, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში და ა.შ... ღირსების შეურაცხყოფა განზრახი მოქმედებაა, რომელიც კონკრეტულად უნდა გამოიხატოს რაიმე ქმედებაში.“⁷²

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სხვა გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბ. ა-ას ქმედება - ბრიფინგის დარბაზში სამხედრო მოსამსახურეების მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფა - მართალია, სცილდება მის, როგორც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის სამსახურებრივ უფლებამოსილების ფარგლებს, მაგრამ იგი არ შეიძლება შეფასდეს დაზარალებულთა ღირსების იმ ხასიათის შეურაცხყოფად, რაც დაზარალებულების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებით დარღვევას იწვევს“. ამავე გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ბ. ა-ას ქმედება - სამხედრო მოსამსახურეების სიტყვიერი შეურაცხყოფა და ლ. შ-ისათვის ბოთლის სროლა, რომელიც არავის მოხვედრია, მართალია, მორალური თვალსაზრისით ცალსახად მიუღებელი და გასაკიცხია, მაგრამ ვერ შეფასდება დაზარალებულის ღირსების იმ ხასიათის შეურაცხყოფად, რაც ფიზიკური პირის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებით დარღვევას იწვევს. შესაბამისად, სახეზე არ გვაქვს ამ დანაშაულის შემადგენლობის ისეთი აუცილებელი ნიშანი, როგორცაა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა - ფიზიკური ან

⁷¹სისხლისსამართლისკერძონაწილი (II) კომენტარი, ავტორთაკოლექტივი, მეოთხეგამოცემა, თბილისი, გამომც. მერიდიანი. 2012 წ. გვ. 198.

⁷²საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №2კ-733პ.-06 საქმე

იურიდიული პირების უფლებების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებით დარღვევად. ბ. ა-ს ქმედება უნდა შეფასდეს ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ მიმართულ უღირს საქციელად, რაც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას და არა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს.“⁷³

თავი VIII. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ურთიერთგამიჯვნის პრობლემები

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე და 333-ე მუხლების შემადგენლობათა ანალიზი ცხადყოფს, რომ მათი ძირითადი ნიშნები მსგავსია, განსხვავებულია ამსრულებლის ქმედება, რომელსაც იგი ახორციელებს თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების და მდგომარეობის გამოყენებით.

⁷³საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №2კ-12აპ.-14 საქმე

ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებების შესწავლამ დაადასტურა, რომ ხშირია დანაშაულებრივი ქმედებების საქართველოს სსკ-ის 332-ე და 333-ე მუხლებით არასწორად კვალიფიკაციის შემთხვევები. არასწორი კვალიფიკაცია, ე.ი. ქმედების მცდარი სამართლებრივი შეფასება ძირითადად გამოწვეული იყო დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშნის - ქმედების, მოქმედების ან უმოქმედობის - არასწორი გამარტებით და შესაბამისად, დადგენით.⁷⁴

რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში, აღნიშნულ დანაშაულთა შემადგენლობების გამიჯვნასთან დაკავშირებით მითითებულია, რომ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან განსხვავებით, უფლებამოსილების გადამეტებისას შესრულებული მოქმედება არ იმყოფება დამნაშავის უფლებამოსილების ფარგლებში. აღნიშნულს ადასტურებს კანონის მითითება ჩადენილი მოქმედების სამსახურებრივი უფლებამოსილებასთან შეუსაბამობის აშკარა ხასიათზე.⁷⁵

უფლებამოსილების შინაარსის ზუსტი დადგენა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამსრულებლის განსაზღვრაში, არამედ მისი ქმედების სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის, რამეთუ ერთი ქმედება შესაძლებელია ცალკეული მოხელის შემთხვევაში დაკვალიფიცირდეს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებად, ხოლო სხვა მოხელის კომპეტენციის გათვალისწინებით - სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ამსრულებლის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ საქართველოს კანონის „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ თანახმად, მან ჩაიდინა ისეთი ქმედება, რომლის „უფლება არ ჰქონდა“ სწორედ ამ კანონით მისთვის განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში.⁷⁶

⁷⁴ გამყრელიძე, დაავტორთა კოლექტივი; კორუფციის საქართველოში, თბილისი, 2011 წ. გვ. 219-220.

⁷⁵ Авторский коллектив Уголовно-правовой Российской Федерации, особая часть, (Учебник) изд. „Инфра-М“, 2005 г. Ст. 562.

⁷⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №23-779აპ.-06 საქმეზე

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 72-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „მოხელე ვალდებულია სპეციალური მითითების გარეშე შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობა, დაიცვას სამართლებრივი აქტების მოთხოვნები და ნაკისრი ვალდებულების შესრულების დროს იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობით და მის მიერ დაკავებული თანამდებობისათვის დადგენილი სამუშაო აღწერილობით“. სწორედ აღნიშნულ ვალდებულებას ხელყოფს ამსრულებელი მისი მართლსაწინააღმდეგო მიზნის მისაღწევად, თუმცა გავრცელებულია მოსაზრება, რომ კანონით გათვალისწინებულ ქმედებათა და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გაცემულ ბრძანებულებათა შეუსრულებლობის მიზეზებია ასევე: „საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და ზომების არარეალურობა; კანონების ხშირი ცვლა; ზერელე კანონშემოქმედებითი საქმიანობა; ფინანსური სახსრების უსისტემო განკარგვა; სამთავრობო უწყებების შეუთანხმებელი მუშაობა და ქვეყანაში კანონმორჩილების დაბალი დონე“.⁷⁷

იმ შემთხვევაში, როდესაც საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები და ზომები არარეალურია, მოხელეს არ ძალუძს დაკისრებული ვალდებულების შესრულება და არღვევს თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას, მისი ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება არათუ დანაშაულად, არამედ დისციპლინურ გადაცდომადაც კი.

ნორმათა კონკურენციად მითითებულია შემთხვევა, როდესაც ჩადენილი ერთი ქმედების ნიშნები გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებით.⁷⁸

იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია: „რომ გადაწყდეს საკითხი თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების შესახებ, აუცილებლად ზუსტად უნდა დადგინდეს თანამდებობის პირის თანამდებობრივი კომპეტენცია ანუ მისი უფლებებისა და ვალდებულებების წრე. როდესაც დადგინდება, რომ თანამდებობის

⁷⁷ უნიანციე., სვანაძემ., კორუფციასაქართველოსსაგზაოსექტორში, თბილისი, 2004 წ. გვ. 33.

⁷⁸ ბასილაიაფ., „სამოხელეოდასასამართლოხელისუფლებისწინააღმდეგმიმართულიდანაშაული“, ჟურნ. „სამართალი“, 2001 წ. №3, გვ. 67.

პირის მოქმედება დანაშაულებრივად სცილდება მის კანონიერ უფლებებსა და მოვალეობებს, სწორედ მაშინ დადგება 333-ე მუხლით პასუხისმგებლობის საკითხი...ხელისუფლების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა აშკარა შეუსაბამობა ნამდვილ უფლებასა და განხორციელებულ ქმედებას შორის, თუ დანაშაულებრივი მოქმედება არ ხდება თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებით, მოქმედების კვალიფიკაცია არ მოხდება 333-ე მუხლით.⁷⁹

მართალია, რომ განსახილველ დანაშაულთა შორის, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მომეტებული საშიშროებიდან გამომდინარე, კანონმდებელმა მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მაკვალიფიცირებელ ნიშნად დაადგინა თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზანი და მოტივი, თუმცა იგი არ გამორიცხავს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევაში ამსრულებლის მიზანს სწორედ გამორჩენის მიღება წარმოადგენდეს. ამიტომ, განსახილველ დანაშაულთა შემადგენლობების კონკურენციის დროს სასამართლომ პრიორიტეტულად უნდა იმსჯელოს ამსრულებლის სამსახურებრივ უფლებამოსილებაზე, ამსრულებლის კომპეტენციის შეფასებით უნდა მიიღოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება და არა მხოლოდ მოტივისა და მიზნის მხედველობაში მიღებით.

გარდა აღნიშნული პრაქტიკული პრობლემისა, განსახილველ დანაშაულებთან დაკავშირებით, პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომელშიც სასამართლოს მიერ არ არის ადეკვატურად განსაზღვრული ის საფუძვლები, რომელთაც მათი გამამტყუნებელი თუ გამამართლებელი გადაწყვეტილებები ეყრდნობა.⁸⁰

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფუნქციას არ წარმოადგენს ეროვნული სასამართლოების მიერ სავარაუდოდ დაშვებულ ფაქტობრივ და სამართლებრივ შეცდომებზე რეაგირება, 2016 წლის 21 ივნისის

⁷⁹მჭავანაძე., სისხლისსამართლისკერძონაწილი, გამომც. „ქსუ“, 2000წ. გვ. 511-512.

⁸⁰European Court of Human Rights, Case of Tchankotadze v. Georgia, §108.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში, საქმეზე „ჭანკოტაძე საქართველოს წინააღმდეგ“, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მომჩივანისათვის ბრალად შერაცხულ, საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებულ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე, რამეთუ განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ აშკარად არ არსებობდა მისი ბრალეულობის დამადასტურებელი ჯეროვნად დასაბუთებული შიდა გადაწყვეტილება.⁸¹ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ:

„მომჩივანი მსჯავრდებულ იქნა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო იმ ორი კონკრეტული ქმედების საფუძველზე, რომელიც მან, როგორც სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარის რანგში განახორციელა: (i) აპლიკანტის მიერ სამოქალაქო ავიაციის სამ კომპანიასთან 2003 წლის 28 მარტსა და 13 აგვისტოს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებები მომსახურების საფასურის შეგროვების მიზნით, რომელიც სინამდვილეში რეგულირების საფასურს წარმოადგენდა 2003 წლის 1 აპრილიდან 1 ოქტომბრამდე პერიოდში, და (ii) ის ფაქტი, რომ იმავე რეგულირების საფასურს იღებდა რვა სხვა სამოქალაქო ავიაციის კომპანიებისგან, აპლიკანტის მიერ 2003 წლის 25 ნოემბერს უკანონოდ გამოცემული N1 ბრძანების საფუძველზე... სასამართლო აღნიშნავს,

რომეველა შემოთავაზებული ფაქტობრივი და სასამართლებრივი ასპექტების დაზუსტება აუცილებელი იყო წინამდებარე ორივე ეპიზოდში მომჩივნის ბრალეულობის დადგენის მიზნით. თუმცა, მიუხედავად იმისა,
რომ განმცხადებელმა სათანადოდ გააჟღერა ყველა შესაბამისი არგუმენტი იმ დაორგანოების წინაშე (იხ., შემოთავაზებული 28, 30, 43-44, 50 და 52),
ეროვნულმა სასამართლოებმა თავიანთ გადაწყვეტილებებში ცხადად არ მიანიჭეს მათ რაიმე მნიშვნელობა. მართლაც, არამართლზომიერი ის გარემოებები,
რომ არცერთმა სასამართლო ინსტანციამ თავიანთ გადაწყვეტილებებში არ განიხილა აპლიკანტის ქმედებების ურთიერთკავშირი, რაც ნათქვამი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს
2003 წლის 10

⁸¹ იგივე, §100.

იანვრის გადაწყვეტილებაში დარასაც შესაბამისი შემდგომ ინორმატიული კანონმდებლობა ადგენდა.

ზემოაღნიშნული სგათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ ეროვნულ მასსამართლოებმასაფუძვლიანი მნიშვნელობა არ მიანიჭეს მომჩივნის წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტ გარემოებებს.

ამასპექტებს შეეძლო გარდამტეხი მნიშვნელობა ჰქონოდა განმცხადებლის ბრალეულობის განსაზღვრაში (შეადარეთ, ზემოთაღნიშნულ საქმეებს: Salov, §92, Grădinar §§114, 115; და Gheorghe §50).

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო განმცხადებლის მსჯავრდების შედეგობრივი შეუსაბამო ბანაკებად დამაჯერებელ სხდი დამასისეთი ობიექტურის ამართლებრივი დამკვირვებლისთვის, როგორც სასამართლოა.

მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა არა განმცხადებლის ინდივიდუალურ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ან დანაშაულის ელემენტების დადგენას, არამედ მსაკითხებს, რომლებიც ექსკლუზიურად ეროვნული სასამართლოების განსჯადი იყო.

ამის საპირისპიროდ, ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებში საკმარისი საფუძვლების არარსებობით გამოწვეული მდგომარეობა დაკავშირებული იყო სასამართლოს გაუგებრობასთან, თურატომ იყო განმცხადებლის მოქმედებები -

მომსახურების ხელშეკრულებების საფუძველზე საფასურის შეგროვება და კანონქვემდებარესამართლებრივი აქტი - მიჩნეული, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული.

სხვაგვარად, არ შეიძლება ითქვას, რომ განმცხადებელის არგებლობა სამართლიანია სასამართლო განხილვით იმდენად, რამდენადაც სისხლის სამართლის კანონმდებლობა, კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 332-ემუხლით დასჯადი ქმედების -

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფარგლები, იყო გაუგებარი და შესაბამისად აპლიკანტის საზიანოდ,

თვითნებურად განმარტებული ეროვნულისა სამართლოების მიერ. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი.⁸²

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ადგენს პირის უფლებას, სისხლის სამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას მისი საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას. აღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, სამართლიანი სასამართლოს უფლების ფარგლებში, სასამართლოებისა და ტრიბუნალების გადაწყვეტილებებმა ადეკვატურად განსაზღვრონ ის საფუძვლები, რომელთაც მათი გადაწყვეტილებები ეყრდნობა.⁸³

დასკვნა

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების სისხლის სამართლებრივი დახასიათებიდან გამომდინარე, აშკარაა, თუ ეს სამოხელეო დანაშაულები რამდენად საშიშროების შემცველი და მწვავე შედეგების მომტანია სახელმწიფოს, საზოგადოებისა თუ ცალკეულ პირთა კანონიერი ინტერესებისათვის.

წინამდებარე ნაშრომში მიმოხილული მნიშვნელოვანი საკითხები პირობითად შესაძლებელია შეჯამდეს რამდენიმე პუნქტად და მათზე გაკეთდეს სახელმწიფოში არსებულ საკანონმდებლო და პრაქტიკულ პრობლემებზე ორიენტირებული დასკვნები, რომელთა აღმოფხვრა ასევე მნიშვნელოვანია აღნიშნულ დანაშაულთა პრევენციისა და მათი მინიმუმამდე დაყვანისათვის:

- ნაშრომში თავდაპირველად შევხებით ზოგად დებულებებს სამოხელეო დანაშაულთან დაკავშირებით. აქ მოყვანილი გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სამოხელეო დანაშაულების საქართველოს სსკ-ის ცალკე თავად გამოყოფა განაპირობა მოცემულ დანაშაულთა ხელყოფის ერთგვაროვანმა ობიექტმა (სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის სწორი,

⁸² საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №23-915აპ.-10 საქმეზე.

⁸³ European Court of Human Rights, Case of Tchankotadze v. Georgia, §102-109.

ნორმალური მუშაობა, მისი ავტორიტეტი და ღირსება)„სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეულ თავებსა და მათ შორის „თანამდებობრივი დანაშაული“-ს თავში ცალკეული ნორმების გაერთიანების მთავარი, გადამწყვეტი საფუძველია ამ დანაშაულებრივ ქმედობათა ხელყოფის ობიექტთა ერთიანობა და არა სუბიექტი“⁸⁴.

- ყურადღება დაეთმო ასევე სამოხელეო დანაშაულის ისტორიულ გენეზისს.IX-XIII საუკუნეების საქართველოს სისხლის სამართლის ისტორიის, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის, საქართველოს საბჭოთა სისხლის სამართლის ნორმების და მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სამოხელეო დანაშაულების ნორმათა შედარებით წარმოჩინდა განსახილველ დანაშაულთა განვითარების არც თუ მოკლე გზა.
- განხილულ იქნა სამოხელეო დანაშაულის არსი რამდენიმე დეფინიციის მიხედვით. ერთ-ერთი დეფინიციის თანახმად, „თანამდებობრივი დანაშაულის არსი მდგომარეობს თანამდებობის პირის მიერ საკუთარი მდგომარეობის გამოყენებით და სამსახურებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ თანამდებობრივ არამართლზომიერ ქმედებებში (უმოქმედობებში), რომლებიც არსებით ზიანს აყენებენ სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან მოქალაქეთა ინტერესებს, ან კანონით დაცულ მოქალაქეთა უფლებებს.“⁸⁵
- ნაშრომში განხილული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სამოხელეო დანაშაულის ამსრულებელ პირთა წრე, რომელთან დაკავშირებით განხილულმა სასამართლოს გადაწყვეტილებებმა და ნორმათა იურიდიულმა ანალიზმა წარმოაჩინა მოხელესთან გათანაბრებულ პირთან დაკავშირებული პრობლემა, რამეთუ არ არსებობს მოხელესთან გათანაბრებული პირის საკანონმდებლო ცნება. აღნიშნული ბუნდოვანების აღმოფხვრისათვის საჭიროა კანონით განისაზღვროს მისი ცნება ან/და მისი მოხელესთან გამთანაბრებელი რაიმე ცენზი. ყურადღება დაეთმო ასევე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ პოლიტიკური თანამდებობის პირის, ადმინისტრაციული

⁸⁴ფაფიაშვილი, შ. თანამდებობრივდანაშაულთანბრძოლისზოგიერთიპრობლემა, თბილისი, გამომც. „საბჭოთასაქართველო“, 1985 წ. გვ. 53.

⁸⁵იხილეთ შენიშვნა 18, გვ. 15.

ხელშეკრულებით დასაქმებული პირის და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის ცნებებს. აღნიშნული სუბიექტები უცნობია სამოხელეო დანაშაულთათვის. ამ ფონზე სასამართლო მოკლებულია მათ მიერ ჩადენილი სამოხელეო დანაშაულებრივი ქმედების დასაბუთებული სამართლებრივი დაკვალიფიცირების შესაძლებლობას. საჭიროა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის სამოხელეო დანაშაულთა თავში განხორციელდეს სისტემური ცვლილება და სხვა ამსრულებელთა შორის გათვალისწინებულ იქნეს ასევე: პოლიტიკური თანამდებობის პირი, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

- მნიშვნელოვან დეტალს წარმოადგენს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შემადგენლობა. აღნიშნულთან დაკავშირებით ნაშრომში განხილულია სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული - მითვისება ან გაფლანგვა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რამეთუ ამ შემთხვევაში ამსრულებლის მიზანს სწორედ რომ თავისთვის ან სხვა პირისათვის (პირთათვის) ქონებრივი გამორჩენა, მათ შორის სახელმწიფო სახსრების მართლსაწინააღმდეგო ამოღება, წარმოადგენს. პრაქტიკაში გათვალისწინებული უნდა იქნეს მეცნიერთა და უზენაესი სასამართლოს შეფასება, რომ საკითხი ყოველთვის ნორმათა კონკურენციის საფუძველზე უნდა გადაწყდეს და მსგავს შემთხვევაში ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სპეციალური ნორმით - 182-ე მუხლით, და არა სსკ-ის 333-ე და 182-ე მუხლების ერთობლიობით.
- ნაშრომში ყურადღება დაეთმო სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, მისი ობიექტური და სუბიექტური მხარის ნიშნების განხილვით, რითაც ხაზი გაესვა განსახილველ დანაშაულთა შემადგენლობის ძირითადი ნიშნების მსგავსებას, როგორც მათი კონკურენციის ძირითად მიზეზს.
- აქტუალურ საკითხს წარმოადგენს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების დამამძიმებელი გარემოებები. სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და გადამეტების მომეტებული საშიშროების, განსაკუთრებით კი

ბოლო დროს სახელმწიფოში მომრავლებული, წინასწარ შეკავშირებული მოხელეების მიერ მათი განხორციელების გამო, საქართველოს სსკ-ის 332-ე და 333-ე მუხლებს უნდა დაემატოს ორი დამამძიმებელი გარემოება შემდეგი ფორმულირებით: 1) ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. 2) ამ მუხლის პირველი, მეორე ან მესამე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რამეთუ რამდენიმე სამოხელეო დანაშაულთა ამსრულებლის მიერ წინასწარ შეკავშირდებით, მათი ძალაუფლების შერწყმით და ერთობლივი ძალებით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება მეტად ხელყოფს განსახილველ დანაშაულთა დაცვის ობიექტს. აღნიშნულ დამამძიმებელ გარემოებათა დამატება ხელს შეუწყობს ასევე დანაშაულის პრევენციას.

- ნაშრომში ბოლოს ყურადღება დაეთმო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და გადამეტების შემადგენლობათა ურთიერთგამიჯვნის პრობლემებს. სასამართლო მათ გამიჯვნას მხოლოდ და მხოლოდ ამსრულებლის მოტივით და მიზნით ახდენს, რადგან აღნიშნული ნიშნები მხოლოდ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის არის მაკვალიფიცირებელი გარემოებები. თუმცა შესაძლოა სამსახურებრივი გადამეტებისას ამსრულებელს სწორედ გამორჩენის მიღების მიზანი ამოძრავებდეს. ამიტომ განსახილველ დანაშაულთა შემადგენლობების კონუკრენციის დროს სასამართლომ პრიორიტეტულად უნდა იმსჯელოს ამსრულებლის კომპეტენციაზე და არა სუბიექტის მიზანსა და მოტივზე.

გამოყენებული ლიტერატურა

- საქართველოს სსსხლის სამართლის კოდექსი, №2287, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41(48), 13.08.1999;
- სსსხლის სამართლის კერძონაწილი (II) კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, მეოთხე გამოცემა, თბილისი, გამომც. მერიდიანი. 2012 წ.;
- ლლონტიგ. კურუფცია, სახელმძღვანელო, თბილისი, 2009 წ.;
- შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი, 2011 წ.
- Уголовный кодекс России, от 13.06.1996 N 63-ФЗ (ред. От 03.07.2016);
- ფაფიაშვილი, შ. თანამდებობრივ დანაშაულთა ნაბრძოლის ზოგიერთი პრობლემა, თბილისი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1985 წ.;
- ფაფიაშვილი შ. სამოხელეო და სატრანსპორტო დანაშაულთა გახნის მეთოდის კა, თბილისი, გამომც. „მერიდიანი“, 2003 წ.;
- ფაფიაშვილი შ., მექრთამეობის გამოძიება, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1972 წ.;

- ბარაბაძეგ.,
„უფლებამოსილებისბოროტადგამოყენებისადაკომერციულიმოსყიდვისსუბიექტისსპეციფიკა“, ჟურნ. „სამართალი“, 2004 წ. N3-4;
- ივ. ჯავახიშვილის ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მე-2, 1984 წ.;
- 1961 წლის 1 მარტის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1961;
- მჭავანაძე ზ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, გამომც. „ქსუ“, 2000 წ.;
- საქართველოს კონსტიტუცია, №786, საქართველოს პარლამენტის უწყებები, №31-33, 24.08.1995;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, №4346-III, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 11.11.2015;
- ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., პასუხისმგებლობა სახელმწიფო დანაშულისათვის (კომენტარი) თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2000წ.;
- 2007 წლის 31 მაისისსაქართველოსუზენაესისსამართლოსგადაწყვეტილება №2კ-374აპ.-07 საქმეზე, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება საქმეზე„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე - ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 28;
- მთვარელიძეგ., კორუფციის, როგორცანტისახელმწიფოებრივიდანტისაზოგადოებრივიმოვლენისწინააღმდეგბრძოლისასპექტები, ჟურნალი „სამართალი“, №3, 2001;
- ტურავა მ., ევროპული სისხლის სამართალი, თბილისი, გამომც. „მერიდიანი“ 2010 წ.;
- გამყრელიძე ო., და ავტორთა კოლექტივი; კორუფცია საქართველოში, თბილისი, 2011წ.;

- ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., დანაშაული სახელმწიფოსა და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ, თბილისი, გამომც. „მერიდიანი“, 2002 წ.;
- Mumladze S., Bestechungsdelikte im deutschen und im georgischen recht, 2015 y.
- 2014 წლის 24 ივნისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №2კ-230აპ.-13 საქმეზე, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>;
- 2014 წლის 14 ივლისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №2კ-12აპ.-14 საქმე, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>;
- თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სისხლის სამართლის №1/3137-14 საქმეზე;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №2კ-939აპ.-06 საქმეზე, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>;
- 2006 წლის 15 დეკემბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №2კ-932აპ.-06, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>;
- 2006 წლის 14 დეკემბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება №2კ-733აპ.-06 საქმეზე, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>;
- Борзенков Г. Н. и авторский коллектив, Уголовное право российской федераций, особенная часть, Москва, изд. „Олимп АСТ“, 1997 г.;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეზე, კერძო ნაწილი, 2008წ. №11;
- ფუტყარაძე ე., ფუტყარაძე რ., კორუფციასთან ბრძოლის კონსტიტუციურ - სამართლებრივი ასპექტები და სისხლის სამართლებრივი ასპექტები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №4, 2004;
- ნაჭყებია, გ., სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება, თბილისი, გამომც. 2002 წ.;

- ტყეშელიძე, დაავტორთაკოლექტივი, სისხლისსამართლისზოგადინაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2007 წ.;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, სისხლის სამართლის საქმეზე, კერძო ნაწილი, 2007 წ. №11;
- გამყრელიძე, ო., საქართველოსსისხლისსამართლისკოდექსისგანმარტება; თბილისი 2008 წ.;
- მორგოშიაა., საჯარომოსამსახურისდისციპლინურიპასუხისმგებლობისთავისებურებანი, ჟურნალი„სამართალი“, №4-5, 2000;
- საქართველოს კანონი „საქართველოსსისხლისსამართლისკოდექსშიცვლილებებისადადამატების შეტანისშესახებ“, №5196, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №28, 18.07.2007;
- ფაფიაშვილი შ., კრიმინალისტიკა (ტომი III), დანაშაულთა გახსნის მეთოდის, თბილისი, გამომც. მერიდიანი 2006 წ.;
- საქართველოს კანონი „იარაღისშესახებ“, №2264, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №14, 03.06.2003;
- Авторский коллектив Уголовное право российской федераций, особнная часть, (Учебник) изд. „Инфра-М“, 2005 г.
- 2006 წლის 8 ნოემბრისსაქართველოსუზენაესისასამართლოსგადაწყვეტილება №2კ-779აპ.-06 საქმეზე, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>.
- უნიანციე., სვანაძემ., კორუფციასაქართველოსსაგზაოსექტორში, თბილისი, 2004 წ.;
- ბასილაია ფ., სამოხელეო და სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ჟურნალი „სამართალი“, №3; 2001;
- European Court of Human Rights, Case of Tchankotadze v. Georgia;

- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, გამომც. „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2015.